

**მეზობლობასთან დაკავშირებული
ანდაზები
არაბულსა და ქართულში
NEIGHBOURSHIP-RELATED
PROVERBS
IN ARABIC AND GEORGIAN**

ლელა ავალიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო

Lela Avaliani

Akaki Tsereteli State University
Kutaisi. Georgia

ABSTRACT

There is an abundance of neighbourship-related expressions in Arabic folklore that accurately demonstrate the life experience and wisdom of Arabs. Since ancient times, the Arab Bedouins have had to struggle for pastures, wells, water, land, or caravan routes. They lacked peace in their lives. Maybe that is why they considered their way of choosing neighbours and the interaction between the two to be of vital importance. Even today, Arabic expressions demonstrate the value of peaceful coexistence. The significance of good neighbourly relations is well appreciated by Georgians, being reflected in proverbs.

The proposed article discusses those proverbs that focus on the importance of neighbours and neighborly relations. Arabic samples have been selected from the Dictionary of Arab Proverbs and Sayings (2008) compiled by E. V. Kukhareva. They are compared with Georgian sayings. For example, the Arabic proverb *المجاور ثم الدار* "First neighbor, then - house". Cf. the Georgian saying, "Before buying a house, see who your neighbours will be".

Based on discussed materials, it can be noted that the Arabic and Georgian proverbs mainly reveal the same attitudes. Wise sayings represent the rich and diverse traditions of Arabs and the Georgian people and reflect the moral values of both ethnicities.

Arabic and Georgian proverbs are also similar structurally as they mainly involve declarative sentences. Among them, simple constructions prevail.

საკვანძო სიტყვები: არაბული ანდაზები, ქართული ანდაზები, ფოლკლორი, ლექსიკოლოგია.

Keywords: Arabic proverbs, Georgian proverbs, folklore, lexicology.

არაბულ ზეპირსიტყვიერებაში მრავლად გვხვდება მეზობლობასთან დაკავშირებული გამონათქვამები, რომლებშიც კარგად ჩანს არაბი ხალხის ცხოვრებისეული გამოცდილება, სიბრძნე. არაბ ბედუინს უხსოვარი დროიდან უწევდა ბრძოლა საძოვრების, ჭების, წყლის, მიწისა თუ საქარავნო გზებისთვის. ფაქტობრივად, მშვიდად არ ცხოვრობდა. ალბათ, ამიტომ სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებდა მეზობლის არჩევასა და მასთან ურთიერთობას. კეთილმეზობლობის მნიშვნელობას გვიდასტურებს ცნობილი არაბული გამოთქმა: حسن الجوار عمارة الديار (მაროკ.) „კეთილმეზობლობა ავსებს სახლებს [მაცხოვრებლებით]“. კეთილმეზობლობა ადამიანს შესაძლებლობას აძლევს ნორმალურად იცხოვროს: ააშენოს სახლი, გაზარდოს შვილები, დაამუშაოს მიწა, აიღოს მოსავალი და დაგეგმოს ბედნიერი მომავალი. ეს გამოთქმა დღესაც ნათლად აჩვენებს მშვიდობიანი თანაცხოვრების მნიშვნელობას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის და არა მარტო მათთვის. თავის მხრივ, ადამიანებს აქეთკენ მოუწოდებს ისლამიც.

კეთილმეზობლობის მნიშვნელობა კარგად ესმის ქართველსაც, რაც ანდაზებშიც აისახა: „კაი მეზობელი დილაა, მზეზე წინ სანახავია“; „კარგი მეზობელი ამომავალ მზეს სჯობიაო“ (ქართული ანდაზები 1959: 40); „მეზობელი კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“; „მეზობელი მეზობლის სარკეაო“ (ქართული ენის იდიომები და ანდაზები).

წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ იმ პარემიებს, რომლებშიც საუბარია მეზობლისა და მეზობლობის მნიშვნელობაზე. შესაბამისი ნიმუშები ამოკრებილია ე. კუხარევას „არაბული ანდაზებისა და გამოთქმების ლექსიკონიდან“ (Kyxapeva 2008).

არაბული ანდაზების მიხედვით, მეზობლის კეთილდღეობა თავად მისი კეთილდღეობისა და სიმშვიდის გარანტიაც არის. ამიტომ თუკი ადამიანს შეუძლია აირჩიოს მეზობელი, მან ეს შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს. არაბი გვიჩვენებს, რომ: الجار ثم الدار „ჯერ მეზობელი, შემდეგ – სახლი“ [სახლის შექმნამდე (აშენებამდე) ჯერ მეზობელი იკითხე].

მსგავსი შინაარსის ანდაზა ქართულშიც დასტურდება: „სანამ სახლს იყიდდე, მეზობელი იკითხე“ (ჩხენკელი 2009).

კარგი მეზობელი არაბისთვის ოდითგანვე დიდი შენამენი იყო. აცნობიერებდა რა ამას, თვითონაც ხარობდა მეზობლის კარგად ყოფნით: : إنا جارك بخير إفرح له (მაროკ.) „თუ შენი მეზობელი კარგად არის, გაიხარე მისი კარგად ყოფნით!“

მცირედი განსხვავებით ანალოგიური აზრია გატარებული სირიულ ანდაზაში: إنا جارك بخير أنت بخير, „თუ შენი მეზობელი კარგად არის, შენც კარგად ხარ“.

მსგავსი სემანტიკის ანდაზები გვაქვს ქართულშიც: „თუ მეზობელი კარგად გყავს, შენც კარგად იქნებიო“; „მეზობელს თუ რამე არა აქვს, ჩათვალე, რომ არც შენ გაქვს“; „მეზობელს თუ რამე აქვს, შენცა გაქვსო“ (ქართული ანდაზები 1959: 49).

არაბი თვლის, რომ კაცს გვერდით მყოფი ადამიანის, მეზობლის იმედი ისევე უნდა ჰქონდეს, როგორც უფლის, რადგან الجار بالجار والمكل بالله, „მეზობელი მეზობლით [არის] და ყველა – ღვთით“. შდრ., ქართველის

წარმოდგენითაც, თუ მეზობლისთვის კარგს მოინდომებ, ღვთის წყალობაც არ დააყოვნებს: „მეზობელს ხარი უქადე, ღმერთი შენც მოგცემსო“ (ქართული ენის იდიომები და ანდაზები).

არაბმა ხანგრძლივი გამოცდილებით იცის, რომ მეზობლებთან მტრობა განადგურების, გაპარტახებისა და დაქცევის წინაპირობაა. ერთი მაროკოული ანდაზა პირდაპირ მიანიშნებს, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობები ბევრად სჯობს მტრობას და ვინც ამ მოსაზრებას არ გაითვალისწინებს, დაისჯება უზენაესისგან:

من أذى جاره أورثه الله داره (მაროკ.) „ვინც მეზობელს გული ატკინა (გა-აბრაზა), უფლის ნებით მისი სახლი მეზობელს დარჩა“.

ვფიქრობთ, ანდაზაში უფლის მხრიდან სასჯელზე საუბარი იმ მიზანს ემსახურება, რომ ადამიანებს შუღლისა და მტრობის შედეგი აჩვენოს და დაპირისპირებით გამოწვეული შესაძლო უბედურებაც თავიდან აარიდოს.

მეზობლის ჭირის „ღობეს ჩხირად“ მიჩნევას ბოროტებად და ღვთისგან განდგომად მიიჩნევს ქართველი: „მეზობლის ჭირში მეზობლის მანჭვა-გრეხა და სიცილი ბოროტება და ღვთის გმობა“ (ჩხენკელი 2009).

მეზობლებთან კარგი ურთიერთობა არა მხოლოდ მშვიდი ცხოვრებისა და კეთილდღეობის გარანტიაა, არამედ ადამიანების ურთიერთდაახლოებისა და დანათესავებისაც. ხშირად მეზობელი უფრო ახლობელ და საჭირო ადამიანად მიაჩნიათ, ვიდრე ნათესავი. კეთილი მეზობლის უპირატესობას ნათესავთან შედარებით გვიჩვენებს ტუნისური ანდაზა: جارك المقرب خير من خوك البعيد „ახლო მეზობელი სჯობს შორს მყოფ ძმას“.

მსგავსი გამონათქვამები მრავლად გვხვდება ქართულშიც: „შორეულ ნათესავს ახლო მეზობელი გერჩივნოს“; „ავი მეზობელი გერჩივნოს კეთილ ნათესავსო“; „კარგ ნათესავს ცუდი მეზობელი ჯობიაო“; გაჭირვებაში კარის მეზობელი ძმაზე უწინ მოგეშველებაო“ (ქართული ენის იდიომები და ანდაზები).

კეთილი და კარგი მეზობელი სიმდიდრეა, მაგრამ მეზობლები ყოველთვის ერთმანეთს ვერ ეწყობიან. ასეთ შემთხვევაში არაბები გვიჩვენებენ, რომ მოვითმინოთ, კონფლიქტს თავი ავარიდოთ ან სულაც გავერიდოთ შექმნილ სიტუაციას:

إذا بغضك جارك حول باب دارك „თუ მეზობელი ვერ შეიყვარე, გადაიტანე შენი სახლის კარები“.

الجار جارك لو رماك بلحجار (იორდ.) „მეზობელი მაინც მეზობელია, თუნ-დაც ქვები დაგიშინოს“.

ბოროტი ადამიანი მეზობელს უამრავ ცუდ რამეს შეამთხვევს. არაბული ანდაზები ამ შემთხვევაშიც მეზობელთან საერთო ენის გამონახვას, სიმშვიდესა და მოთმინებას გვიჩვენებს:

الجار جارك لو أحرقتك ظهرك أبنار (იორდ.) „მეზობელი მაინც მეზობელია, ცეცხლიც რომ წაგიკიდოს“ (სიტყვასიტყვით: ზურგზე ცეცხლი მოგიკიდოს).

მოთმინებას გვიჩვენებს სირიული ანდაზაც: جار السوء يا يرحل يا يموت „აიტანე ცუდი (ბოროტი) მეზობელი: [ადრე თუ გვიან] ის წავა ან მოკვდება“.

მეზობლის ცუდ ქცევაზე საპირისპირო ქმედებისკენ მოგვიწოდებს მაროკოული ანდაზაც: *أرأيت عاذاً الجار ولو جار* (მაროკ.) „მეზობელი მოიწვიე, დაპატიჟე/იზრუნე მეზობელზე, თუნდაც ის არასწორად იქცეოდეს“.

შდრ., ავი მეზობლისგან თავის შორს დაჭერას გვიჩვენებს ქართული ანდაზები: „ავი მეზობლისგან ღმერთმა ყველა დაიფაროსო“; „ავი მეზობლისგან ცეცხლიც ნუ გინდაო“; „მეზობელი რომ მარილიანი გყავდეს, მარილს მაინც უნდა უნაყავდეო“; „ავი მეზობლის მოშორება თუ გინდა, რამე ასესხეო“ (ქართული ანდაზები 1959: 4, 49). „ცუდი მეზობლისაგან პურის სესხებას უვახშმოდ დაწოლა სჯობიაო“; „ავ მეზობელს და ავ ძაღლს მოფერებით მოშორდიო“; „ცუდ მეზობელს ცეცხლი სიმდიდრე და ქონება ჰკონია და არ მოგცემსო“ (ქართული ენის იდიომები და ანდაზები).

თანაგრძნობას, გვერდით დგომას გვასწავლის შემდეგი ანდაზები: „მეზობელმა რომ მარილი გთხოვოს, თუ მარილი არ გქონდეს, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარიო“; „მეზობელს რომ მუცელი ეტკინება, შენც მუცელზე ხელი უნდა მოისვა“; „იმ მეზობლის ჭირიმე, რომელიც კვერცხზე მარილს მომიყრისო“ (იქვე).

განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ არაბული და ქართული ანდაზები ძირითადად ერთნაირ მიდგომას, დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ბრძნულ გამონათქვამებში წარმოჩენილია არაბი და ქართველი ხალხის მდიდარი და მრავალფეროვანი ტრადიციები, ნათლად ასახული ორივე ერის ზნეობრივი ღირებულებები.

არაბული და ქართული ანდაზები სტრუქტურული თვალსაზრისითაც მსგავსია. ძირითადად თხრობითი წინადადებები გამოიყენება. ნაკლები სიხშირით დასტურდება ბრძანებითი წინადადებები. ამასთან, შედარებით ხშირია მარტივი კონსტრუქციები. რთულ კონსტრუქციებში ჭარბობს ქვეწყობის შემთხვევები.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

სახოკია 1979: სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი, 1979.

ქართული ანდაზები 1959: ქართული ანდაზები. შეადგინა ა. კანდელაკმა. თბილისი, 1959.

ქართული იდიომები და ანდაზები: ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზა. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო დონდი <http://idioms.tsu.ge>. დამოწმება: 10.09.2021.

ჩხენკელი... 2009: ჩხენკელი ჰ., ჩხენკელი ვ., ჩხენკელი ფ., ქართული ანდაზები (ბრძნული გამონათქვამები). თბილისი, 2009. <https://novatori.files.wordpress.com/2011/02/andazebi.pdf> დამოწმება: 10.09.2021.

Кухарева 2008: Кухарева Е.В., Словарь арабских пословиц и поговорок. Москва, 2008.